„ვეჩ. იმერეთი"
28.9.73

ჰარბი დასაწყისი

ჩემთვის ხშირად მოსაგონარია დიდი ხნის წინათ მომხდარი ერთი საინტერესო ფაქტი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში წარმოდგენის დაწყების წინ შუა ტანის ჩასკვნილი კაცი ომახიანად გამოვიდა ავანსცენაზე.

დირიჟორმა ხელი ასწია, ხალხი გაირინდა და გადმოიღვარა „დაისის" შესავალი. მომჯადოებელ მუსიკას იმ კაცმა ელვარე ხმა შეაგება და დაიწყო ზღვათა ქუხილი, შემდეგ თანდათან ლაპარაკი მიწყდა და მუსიკალური ბგერებიც მიიბნიდა. ოქროპირმა მეცნიერმა შალვა ნუცუბიძემ სიტყვა ასე დაამთავრა: „დიდი ხელოვნების ჭეშმარიტი შემფასებელი ხალხია".

ახლაც ყურში ჩაგვესმის დიდი ორატორის, ჩვენი ხალხის სასიქადულო ადამიანის ეს სიტყვები. ფილოსოფიის რა ღრმა ჭვრეტით გახდა მან ზაქარია ფალიაშვილის მუსიკის უკვდავებას!..

მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო, ზაქარია ფალიაშვილის ნაოსტატარი ხალხის კუთვნილებად იქცა, მსოფლიოს საოპერო თეატრებისაკენ იწყო სვლა. აღსრულდა დიდი ზაქარიას ოცნებაც.

გერმანელი რეჟისორისა და თეატრის დირექტორის ჰერმან ვედეკინდის სტუმვი რომ ვთქვათ, ზ. ფალიაშვილის „დაისმა" 1973 წლის 14 იანვარს საარბრუკენში, პირველად დასავლეთ ევროპაში მოჯადოვა საარის მხარის მსმენელნი, რადგან იგი დიდებული ჰარმონიულობის შესანიშნავი ნიმუშია. მისი მუსიკა იარებს გვიშუშებს, გულზე მალამოდ გვედება, სიცოცხლისა და მშვენიერების შეგრძნების განცდას გვიბრუნებს. იგი კარგი პასუხიც გახლავთ უველა იმ ვაიმოდერნისტისათვის, ვისთვისაც გაუფასურებულია კლასიკა.

ჩვენი კულტურის მოსიყვარულე, „საარბრუკენელი ქართველი" ჰერმან ვედეკინდი ახლახან მესამედ გვეწვია საქართველოში, რომ მოამზადოს ქართული ხელოვნების კვირეული დასავლეთ გერმანიაში. იგი ეს ტუმრა ზაქარია ფალიაშვილის ჩაუქრობელ კერასაც. „დაისის" დადგმის შესახებ სახლ-მუზეუმს საინტერესო მასალები გადასცა, რომლებიც გამოყენებულია სტაციონარულ ექსპოზიციაში. აქვე დაცულია საქართველოში ჩამოსვლის წინ მის მიერ სახლ-მუზეუმის დირექტორი ვ. ჩინჩალაძის სახელზე გამოგზავნილი გულთბილი წერილი, რომელსაც ხელს აწერს: „საქართველოს მეგობარი".

„დაისი" კეთილი მეკვლე გამოდგა. ჰ. ვედეკინდის თქმის არ იყოს, ხელოვნებას საზღვრები არ აქვს. ახლა თანამშრომლობისა და შემდგომი შემოქმედებითი დაახლოების ახალი პერსპექტივები გადაიშალა.

დასაწყისი კარგია. ვისურვოთ მისი კეთილი განგრძობა.

ა. იმერლიშვილი

SOVLAB